



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 92
28/09/2018

92-04-4-201809281413



„სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთში მდებარე (ს/კ 21.01.37.341) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6628.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგრებული 4564.39 კვ.მ. შენობა-ნაგებობების ფაქტიური მფლობელებისთვის საცხოვრებელ ბინებად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. უარი ეთქვას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს ინიცირებული „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთში მდებარე (ს/კ 21.01.37.341) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6628.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგრებული 4564.39 კვ.მ. შენობა-ნაგებობების ფაქტიური მფლობელებისთვის საცხოვრებელ ბინებად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტის დამტკიცებაზე.

2. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთში მდებარე მახუნცეთის ყოფილი საჯარო სკოლის საძინებელი კორპუსი (ინტერნატი) (საკადასტრო კოდი №21.01.37.341) მფლობელებისთვის საცხოვრებელ ბინებად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწვესის დასახლებაში) მდებარე მახუნცეთის საჯარო სკოლის ყოფილი საძინებელი კორპუსი (საკადასტრო კოდი №21.01.37.341), სადაც ოთხმოცდაათიანი წლებში განხორციელდა დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობის (30 ოჯახი) დროებით შესახლება და დღემდე ცხოვრობენ. აღნიშნულ შენობა-ნაგებობაში მცხოვრები ოჯახები (სულ 30 კომლი) მოითხოვს სათანადო დახმარების გაწევას, მათ მფლობელობა/სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში რეგისტრაციას. რის თაობაზეც მოსარგებლე პირებს გააჩნიათ „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის მუშაობის წესის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მოსარგებლეთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 24 მარტის №8 დადგენილების №3 დანართის მე-4 მუხლით

განსაზღვრული სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია. ზემოთ დასახელებული ქონება (მახუნცეთის საჯარო სკოლის ყოფილი საძინებელი კორპუსი - ინტერნატი) წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და „კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერია სამართლებრივად მოკლებულია შესაძლებლობას საცხოვრებელი ფართობები (ბინებად) მფლობელ/მოსარგებლე პირებს უსასყიდლოდ გადასცეს საკუთრებაში. სწორედ ამ გარემოების გამო მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს უფლება მოსარგებლე პირებზე გასცეს შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, აქედან გამომდინარე ვერ ხერხდება მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართობების საჯარო რეესტრში კერძო საკუთრებაში რეგისტრაცია.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისა და 30 ოჯახის საკითხის (საცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში გადაცემა) დადებითად გადაწყვეტის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის მუშაობის წესის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ

საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მოსარგებლეთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 24 მარტის №8 დადგენილების შესაბამისად დაისვას საკითხი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წინაშე ზემოთ აღნიშნული ქონების (მახუნცეთის საჯარო სკოლის ყოფილი საძინებელი კორპუსი - ინტერნატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რათა შემდგომში, იქ მცხოვრებ პირებზე (ოჯახებზე), სიმბოლურ ფასად „ერთ“ ლარად მოხდეს საცხოვრებელი ფართობების (ბინების) საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული პროცედურების განხორციელების შემდეგ საცხოვრებელი ფართობების (ბინის) მოსარგებლე პირებს მიეცემათ უფლება - სამართლებრივი საფუძველი ბინების მათ სახელზე საჯარო რეესტრში დაირეგისტრირონ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გაგვიწიოთ სათანადო დახმარება წლების მანძილზე მოსახლეობისათვის მოუგვარებელი და სამართლებრივად მოუწესრიგებელი საკითხის (ბინების საკუთრებაში გადაცემა) გადაჭრაში, რითაც იქ მცხოვრებელი პირების (ოჯახების) მიერ დასმული საკითხი საბოლოოდ მოწესრიგდება და მოექცევა სამართლებრივ ჩარჩოებში.